# ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №24
2025 წლის 29 დეკემბერი

ქ. ლაგოდეხი

## „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

შეტანილი იქნეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №20 დადგენილებაში(www.matsne.gov.ge 27/12/2024, 010250050.35.167.016616).

**მუხლი 2**

1. „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის № 20 დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 91-ე მუხლის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლი მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს დამტკიცდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით:“

2. დადგენილების პირველი -27 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

### თავი I

### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

**მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი**

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | | | 2024 წლის ფაქტი | | | 2025 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |
| I. შემოსავლები | **36,085.2** | **22,674.5** | **13,410.7** | **40,887.9** | **24,247.1** | **16,640.8** | **45,640.2** | **28,142.0** | **17,498.3** |
| გადასახადები | **18,984.4** | 18,984.4 | - | **20,825.0** | 20,825.0 | - | **23,504.0** | 23,504.0 | - |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გრანტები | 14,775.4 | 1,364.7 | 13,410.7 | 17,590.5 | 949.7 | 16,640.8 | 20,160.5 | 2,662.3 | 17,498.3 |
| სხვა შემოსავლები | 2,325.4 | 2,325.4 | - | 2,472.4 | 2,472.4 | - | 1,975.7 | 1,975.7 | - |
| II. ხარჯები | 15,707.8 | 14,385.6 | 1,322.3 | 21,028.3 | 16,622.5 | 4,405.8 | 20,876.6 | 20,734.0 | 142.6 |
| შრომის ანაზღაურება | 2,694.7 | 2,694.7 | - | 2,965.5 | 2,965.5 | - | 3,290.0 | 3,290.0 | - |
| საქონელი და მომსახურება | 2,640.9 | 2,600.9 | 40.0 | 2,981.4 | 2,854.7 | 126.8 | 3,533.5 | 3,492.2 | 41.3 |
| პროცენტი | 32.0 | 32.0 | - | 14.6 | 14.6 | - | 18.0 | 18.0 | - |
| სუბსიდიები | 7,518.7 | 7,518.7 | - | 9,031.8 | 9,031.8 | - | 11,683.2 | 11,683.2 | - |
| გრანტები | 119.5 | 119.5 | - | 80.0 | 80.0 | - | 150.0 | 150.0 | - |
| სოციალური უზრუნველყოფა | 725.4 | 725.4 | - | 922.4 | 922.4 | - | 1,114.6 | 1,114.6 | - |
| სხვა ხარჯები | 1,976.5 | 694.2 | 1,282.3 | 5,032.5 | 753.5 | 4,279.0 | 1,087.3 | 986.0 | 101.3 |
| III. საოპერაციო სალდო | 20,377.3 | 8,288.9 | 12,088.4 | 19,859.6 | 7,624.6 | 12,235.0 | 24,763.7 | 7,408.0 | 17,355.7 |
| IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება | 16,524.6 | 6,828.8 | 9,695.8 | 24,014.5 | 8,054.4 | 15,960.1 | 29,867.7 | 12,261.8 | 17,605.9 |
| ზრდა | 18,034.9 | 8,339.1 | 9,695.8 | 26,739.0 | 10,778.9 | 15,960.1 | 30,467.7 | 12,861.8 | 17,605.9 |
| კლება | 1,510.3 | 1,510.3 | | 2,724.5 | 2,724.5 | | 600.0 | 600.0 | |
| V. მთლიანი სალდო | 3,852.7 | 1,460.1 | 2,392.6 | 4,154.9 | - 429.7 | - 3,725.1 | -5,104.0 | - 4,853.8 | - 250.2 |
| VI. ფინანსური აქტივების ცვლილება | 3,778.4 | 1,385.8 | 2,392.6 | -4,229.2 | - 504.1 | - 3,725.1 | -5,188.4 | - 4,938.2 | - 250.2 |
| ზრდა | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| ვალუტა და დეპოზიტები | - | | | - | | | - | | |
| სესხები | - | | | - | | | - | | |
| აქციები და სხვა კაპიტალი | - | | | - | | | - | | |
| კლება | 3,778.4 | -1,385.8 | - 2,392.6 | 4,229.2 | 504.1 | 3,725.1 | 5,188.4 | 4,938.2 | 250.2 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 3,778.4 | -1,385.8 | - 2,392.6 | 4,229.2 | 504.1 | 3,725.1 | 5,188.4 | 4,938.2 | 250.2 |
| სესხები | - | | | - | | | - | | |
| აქციები და სხვა კაპიტალი | - | | | - | | | - | | |
| VII. ვალდებულებების ცვლილება | - 74.3 | - 74.3 | - | - 74.3 | - 74.3 | - | - 84.4 | - 84.4 | - |
| ზრდა | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| საშინაო | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| სესხები | - | | | - | | | - | | |
| სხვა | - | | | - | | | - | | |
| საგარეო | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| სესხები | - | | | - | | | - | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სხვა | - | | | - | | | - | | |
| კლება | **74.3** | 74.3 | - | 74.3 | **74.3** | - | **84.4** | 84.4 | - |
| საშინაო | **74.3** | 74.3 | - | 74.3 | **74.3** | - | **84.4** | 84.4 | - |
| სესხები | **74.3** | 74.3 | - | 74.3 | 74.3 | - | **84.4** | 84.4 | - |
| სხვა კრედიტორული დავალიანებები | - | | | - | | | - | | |
| საგარეო | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| სესხები | - | | | - | | | - | | |
| სხვა | - | | | - | | | - | | |
| VIII. ბალანსი | **0.0** | **0.0** | - | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | - |

## მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | | | 2024 წლის ფაქტი | | | 2025 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |
| **შემოსულობები** | **37,595.5** | **24,184.8** | **13,410.7** | **43,612.5** | **26,971.7** | **16,640.8** | **46,240.2** | **28,742.0** | **17,498.3** |
| შემოსავლები | 36,085.2 | 22,674.5 | 13,410.7 | 40,887.9 | 24,247.1 | 16,640.8 | 45,640.2 | 28,142.0 | 17,498.3 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 1,510.3 | 1,510.3 | - | 2,724.5 | 2,724.5 | | 600.0 | 600.0 | - |
| **გადასახდელები** | **33,817.1** | **22,799.0** | **11,018.1** | **47,841.7** | **27,475.8** | **20,365.9** | **51,428.6** | **33,680.1** | **17,748.5** |
| ხარჯები | 15,707.8 | 14,385.6 | 1,322.3 | 21,028.3 | 16,622.5 | 4,405.8 | 20,876.6 | 20,734.0 | 142.6 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 18,034.9 | 8,339.1 | 9,695.8 | 26,739.0 | 10,778.9 | 15,960.1 | 30,467.7 | 12,861.8 | 17,605.9 |
| ვალდებულებების კლება | 74.3 | 74.3 | - | 74.3 | 74.3 | - | 84.4 | 84.4 | - |
| **ნაშთის ცვლილება** | **3,778.4** | **1,385.8** | **2,392.6** | **4,229.2** | **- 504.1** | **-3,725.1** | **- 5,188.4** | **-4,938.2** | **- 250.2** |

## მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 45640,2 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის ფაქტი | 2025 წლის გეგმა |
|---|---|---|---|

| დასახელება | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |
| **შემოსავლები** | **36,085.2** | **22,674.5** | **13,410.7** | **40,887.9** | **24,247.1** | **16,640.8** | **45,640.2** | **28,142.0** | **17,498.3** |
| გადასახადები | 18,984.4 | 18,984.4 | - | 20,825.0 | 20,825.0 | - | 23,504.0 | 23,504.0 | - |
| გრანტები | 14,775.4 | 1,364.7 | 13,410.7 | 17,590.5 | 949.7 | 16,640.8 | 20,160.5 | 2,662.3 | 17,498.3 |
| სხვა შემოსავლები | 2,325.4 | 2,325.4 | | 2,472.4 | 2,472.4 | | 1,975.7 | 1,975.7 | |

## მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 23504,0 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | | | 2024 წლის ფაქტი | | | 2025 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |
| **გადასახადები** | **18,984.371** | **18,984.4** | - | **20,825.0** | **20,825.0** | - | **23,504.0** | **23,504.0** | - |
| საშემოსავლო გადასახადი | - | | | - | | | - | | |
| დამატებითი ღირებულების გადასახადი | 16,573.2 | 16,573.2 | | 18,439.7 | 18,439.7 | | 21,104.0 | 21,104.0 | |
| ქონების გადასახადი | 2,411.2 | 2,411.2 | - | 2,385.3 | 2,385.3 | - | 2,400.0 | 2,400.0 | - |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 1,229.3 | 1,229.3 | | 1,245.0 | 1,245.0 | | 1,200.0 | 1,200.0 | |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | - | - | | - | - | | - | - | |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 13.0 | 13.0 | | 23.4 | 23.4 | | - | - | |
| სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 1,042.1 | 1,042.1 | | 991.0 | 991.0 | | 1,100.0 | 1,100.0 | |
| არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 126.8 | 126.8 | | 125.8 | 125.8 | | 100.0 | 100.0 | |

## მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 20160,5 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის ფაქტი | 2025 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **გრანტები** | **14,775.4** | **17,590.5** | **20,160.5** |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | 47.3 | 65.3 | |
| გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან | 14,728.1 | 17,525.2 | 20,160.5 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 500.0 | | 650.0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 817.4 | 884.4 | 2,012.26 |
| კაპიტალური ტრანსფერი | 8,193.4 | 13,631.6 | 14,248.865 |
| სპეციალური ტრანსფერი მათ შორის : | 5,217.3 | 3,009.2 | 3,249.4 |
| სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე | 5,217.3 | 3,009.2 | 3,249.4 |

## მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 1975,7 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის ფაქტი | 2025 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| სხვა შემოსავლები | **2,325.4** | **2,472.4** | **1,975.7** |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 853.4 | 1,404.9 | 885.0 |
| პროცენტები | 631.0 | 924.8 | 560.0 |
| დივიდენდები | | | |
| რენტა | 222.4 | 480.1 | 325.0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 300.1 | 230.9 | 400.0 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 289.3 | 221.4 | 400.0 |
| საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი | | | |
| სანებართვო მოსაკრებელი | 20.9 | 16.2 | 20.0 |
| მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვის დაჩქარებისათვის | | 0.4 | |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | | | |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | | | |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | - | - | - |
| კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი | | | |
| ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 268.4 | 204.7 | 380.0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | | | |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 10.8 | 9.5 | - |
| სანქციები (ჯარიმები და საურავები) | 847.7 | 752.8 | 600.0 |
| ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა | | | |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 324.2 | 83.9 | 90.7 |

## მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 20876,6 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | | | 2024 წლის ფაქტი | | | 2025 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |
| **ხარჯები** | **15,707.8** | **14,385.6** | **1,322.3** | **21,028.3** | **16,622.5** | **4,405.8** | **20,876.6** | **20,734.0** | **142.6** |
| შრომის ანაზღაურება | 2,694.7 | 2,694.7 | - | 2,965.5 | 2,965.5 | - | 3,290.0 | 3,290.0 | - |
| საქონელი და მომსახურება | 2,640.9 | 2,600.9 | 40.0 | 2,981.4 | 2,854.7 | 126.8 | 3,533.5 | 3,492.2 | 41.3 |
| პროცენტები | 32.0 | 32.0 | - | 14.6 | 14.6 | - | 18.0 | 18.0 | - |
| სუბსიდიები | 7,518.7 | 7,518.7 | - | 9,031.8 | 9,031.8 | - | 11,683.2 | 11,683.2 | - |
| გრანტები | 119.5 | 119.5 | - | 80.0 | 80.0 | - | 150.0 | 150.0 | - |
| სოციალური უზრუნველყოფა | 725.4 | 725.4 | - | 922.4 | 922.4 | - | 1,114.6 | 1,114.6 | - |
| სხვა ხარჯები | 1,976.5 | 694.2 | 1,282.3 | 5,032.5 | 753.5 | 4,279.0 | 1,087.3 | 986.0 | 101.3 |

## მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვოროს 29,941.5 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 29,341.5 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 600,0 ათასი ლარით.

*ათას ლარში*

| პროგ. კოდი | არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის ფაქტი | 2025 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| **01 00** | **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** | **110.5** | **201.2** | **43.0** |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა | 110.5 | 201.2 | 43.0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **15,830.1** | **24,801.1** | **26,106.0** |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 10,574.9 | 15,065.9 | 18,796.5 |
| 02 02 | წყლის სისტემების განვითარება | 337.3 | 3,094.6 | 1,278.8 |
| 02 03 | გარე განათება | 123.3 | 127.5 | 6.8 |
| 02 04 | მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | - | 143.9 | - |
| 02 05 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 209.2 | 1,103.7 | 294.5 |
| 02 06 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები | 2,053.3 | 1,209.1 | 1,443.9 |
| 02 07 | სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 2,174.8 | 3,520.3 | 3,235.6 |
| 02 08 | საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა | 357.3 | 536.2 | 1,050.0 |
| 02 09 | მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება | | 515.3 | 515.3 |
| **03 00** | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **750.7** | **102.1** | **646.9** |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 10.2 | 102.1 | 646.9 |
| 03 02 | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | - | 2.6 | 3.0 |
| 03 03 | კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში | 740.6 | - | - |
| **04 00** | **განათლება** | **68.6** | **34.0** | **755.3** |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 20.3 | 34.0 | 35.7 |
| 04 02 | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა | - | - | - |
| 04 03 | განათლების ღონისძიებები | 48.3 | - | 719.6 |
| 04 04 | წარმატებული პედაგოგის დაჯილდოება | | | |
| **05 00** | **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** | **553.6** | **1,031.1** | **2,357.8** |
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 501.2 | 1,013.7 | 2,334.4 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 52.3 | 17.4 | 23.4 |
| 05 03 | ახალგაზრდობა | | - | - |
| 05 04 | ,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოების ინიციატივების“ დაფინანსება/თანადაფინანსება | | 9.3 | 7.9 |
| 05 05 | წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოება | | - | - |
| 05 07 | საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსება | | - | - |
| 05 06 | წარმატებული ქორეოგრაფიული ან/და ფოლკლორული ანსამბლების თანადაფინანსება | | - | - |
| **06 00** | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **2.8** | **42.2** | **32.4** |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 2.8 | 42.2 | 32.4 |
| 06 02 | სოციალური დაცვა | - | - | - |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სულ არაფინანსური აქტივების ზრდა | 17,316.2 | 26,211.8 | 29,941.5 |

*ათას ლარში*

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის ფაქტი | 2025 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **1,510.3** | **2,724.5** | **600.0** |
| ძირითადი აქტივები | 362.9 | 29.1 | - |
| მატერიალური მარაგები | 13.6 | | |
| არაწარმოებული აქტივები | **1,133.8** | **2,695.4** | **600.0** |
| მიწა | 1,133.8 | 2,695.4 | 600.0 |

## მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით.

*ათას ლარში*

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის ფაქტი | 2025 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| **7.1** | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **3,878.5** | **4,261.9** | **5,073.0** |
| 7.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 3,878.5 | 4,247.3 | 5,020.0 |
| 7.1.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 3,878.5 | 4,247.3 | 4,770.0 |
| 7.1.1.2 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | - | - | 250.0 |
| 7.1.1.3 | საგარეო ურთიერთობები | | | |
| 7.1.2 | საგარეო ეკონომიკური დახმარება | | | |
| 7.1.3 | საერთო დანიშნულების მომსახურება | - | - | - |
| 7.1.3.3 | საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება | | | |
| 7.1.4 | ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები | | | |
| 7.1.6 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | | 14.6 | 18.0 |
| 7.1.7 | საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის | | | |
| 7.1.8 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | | | 35.0 |
| **7.2** | **თავდაცვა** | **144.2** | - | - |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7.2.1 | შეიარაღებული ძალები | | | |
| 7.2.2 | სამოქალაქო თავდაცვა | 144.2 | - | - |
| 7.2.3 | საგარეო სამხედრო დახმარება | | | |
| 7.2.4 | გამოყენებითი კვლევები თავდაცვის სფეროში | | | |
| 7.2.5 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობათავდაცვის სფეროში | | | |
| **7.3** | **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** | - | - | - |
| 7.3 1 | პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა | | | |
| 7.3 2 | სახანძრო-სამაშველო სამსახური | | | |
| 7.3 3 | სასამართლოები და პროკურატურა | | | |
| **7.4** | **ეკონომიკური საქმიანობა** | **12,795.4** | **17,260.4** | **21,368.9** |
| 7.4 1 | საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა | | | |
| 7.4 2 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | - | - | - |
| 7.4 2 1 | სოფლის მეურნეობა | | | |
| 7.4 3 | სათბობი და ენერგეტიკა | | | |
| 7.4 4 | სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა | | | |
| 7.4 5 | ტრანსპორტი | 12,795.4 | 17,260.4 | 21,368.9 |
| 7.4 5 1 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 10,667.2 | 15,839.5 | 19,883.7 |
| 7.4 5 5 | მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები | 2,128.2 | 1,420.9 | 1,485.1 |
| 7.4 6 | კავშირგაბმულობა | | | |
| 7.4 7 | ეკონომიკის სხვა დარგები | | | |
| 7.4 8 | გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროსი | | | |
| 7.4 9 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | | | |
| **7.5** | **გარემოს დაცვა** | **2,034.4** | **1,934.6** | **3,015.0** |
| 7.5 1 | ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება | 1,293.9 | 1,934.6 | 3,015.0 |
| 7.5 2 | ჩამდინარე წყლების მართვა | | | |
| 7.5 3 | გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა | 740.6 | - | - |
| **7.6** | **საბინაო კომუნალური მეურნეობა** | **4,931.5** | **10,270.0** | **7,827.6** |
| 7.6 1 | ბინათმშენებლობა | 16.4 | 218.1 | - |
| 7.6 2 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | - | - | - |
| 7.6 3 | წყალმომარაგება | 434.9 | 3,242.8 | 1,528.5 |
| 7.6 4 | გარე განათება | 1,257.9 | 1,299.3 | 1,372.5 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7.6 5 | გამოყენებითი კვლევები საბინაო კომუნალურ მეურნეობაში | | | |
| 7.6 6 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში | 3,222.3 | 5,509.8 | 4,926.6 |
| **7.7** | **ჯანმრთელობის დაცვა** | **169.0** | **267.1** | **291.9** |
| 7.7 1 | სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები | | | |
| 7.7 2 | ამბულატორიული მომსახურება | | | |
| 7.7 3 | საავადმყოფოების მომსახურება | | | |
| 7.7 4 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 169.0 | 267.1 | 291.9 |
| 7.7 5 | გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროსი | | | |
| 7.7 6 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | | | |
| **7.8** | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | **1,992.0** | **2,907.4** | **4,693.1** |
| 7.8 1 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 597.3 | 1,426.3 | 2,864.1 |
| 7.8 2 | მომსახურება კულტურის სფეროში | 1,354.8 | 1,441.0 | 1,789.0 |
| 7.8 3 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | | | |
| 7.8 4 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 40.0 | 40.0 | 40.0 |
| **7.9** | **განათლება** | **4,646.0** | **5,191.8** | **7,232.8** |
| 7.9 1 | სკოლამდელი აღზრდა | 4,150.3 | 4,605.9 | 5,600.0 |
| 7.9 2 | ზოგადი განათლება | 495.7 | 585.9 | 1,632.8 |
| 7.9 2 1 | დაწყებითი ზოგადი განათლება | | | |
| 7.9 2 2 | საბაზო ზოგადი განათლება | | | |
| 7.9 2 3 | საშუალო ზოგადი განათლება | 495.7 | 585.9 | 1,632.8 |
| 7.9 3 | პროფესიული განათლება | | | |
| 7.9 4 | უმაღლესი განათლება | | | |
| **7 10** | **სოციალური დაცვა** | **2,476.5** | **5,663.9** | **1,841.9** |
| 7 10 1 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა | 123.2 | 148.2 | 249.7 |
| 7 10 2 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 75.0 | 86.4 | 95.6 |
| 7 10 3 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | | | |
| 7 10 4 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 171.3 | 213.7 | 218.3 |
| 7 10 5 | უმუშევართა სოციალური დაცვა | | | |
| 7 10 6 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | 52.5 | 70.3 | 60.0 |
| 7 10 7 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 40.2 | 56.1 | 60.0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7 10 9 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 2,014.2 | 5,089.2 | 1,158.3 |
| | სულ | **33,067.6** | **47,757.0** | **51,344.2** |

### მუხლი 10. ბიუჯეტის  საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს - 5104,0 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 24,763,7 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის ფაქტი | 2025 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| საოპერაციო სალდო | 20,377.3 | 19,859.6 | 24,763.7 |
| მთლიანი სალდო | 3,852.7 | - 4,154.9 | -5,104.0 |

### მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 5188,4 ლარით.

*ათას ლარში*

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის ფაქტი | 2025 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **3,778.4** | **- 4,229.2** | **-5,188.4** |
| ზრდა | - | - | - |
| ვალუტა და დეპოზიტი | - | - | - |
| კლება | - 3,778.4 | 4,229.2 | 5,188.4 |
| ვალუტა და დეპოზიტი | - 3,778.4 | 4,229.2 | 5,188.4 |

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის თანხამ შეადგინა 5 314 955  ლარი, მათ შორის საქართველოს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი  თანხებიდან დარჩენილი ნაშთის ოდენობა შეადგენს 339 887 ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობებიდან დარჩენილი ნაშთის ოდენობა შეადგენს 4 975 068 ლარს.

### მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 74,4 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში მიღებული სესხის თანხის დაფარვას.

თანხა ათას ლარში

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის ფაქტი | 2025 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| ვალდებულებების ცვლილება | 74.3 | 74.3 | 74.4 |
| ზრდა | | | |
| საშინაო | | | |
| საგარეო | | | |
| კლება | 74.3 | 74.3 | 74.4 |
| საშინაო | 74.3 | 74.3 | 74.4 |
| საგარეო | | | |

მუნიციპალიტეტის მთლიანი ვალდებულება 2025 წლის პირველი იანვრისათვის შეადგენს 111 525 ლარს ხოლო 2025 წლის 31 დეკემბრისათვის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 37 179 ლარს.

### თავი II

### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

**მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება**

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 29116,4 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2025 წლის გეგმა | დაფინანსება 2025-2028 წლებზე |
|---|---|---|---|
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **29,116.4** | **64,134.1** |
| **02 01** | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 18,868.5 | 32,863.5 |
| **02 01 01** | გზების მიმდინარე შეკეთება | 0.0 | 700.0 |
| **02 01 02** | გზების კაპიტალური შეკეთება | 18,796.5 | 31,851.5 |
| **02 01 03** | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | 72.0 | 312.0 |
| **02 02** | წყლის სისტემების განვითარება | 1,528.5 | 3,761.5 |
| **02 02 01** | სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია | 252.5 | 1,185.5 |
| **02 02 02** | სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია | 1,276.0 | 2,576.0 |
| **02 03** | გარე განათება | 1,372.5 | 7,880.5 |
| **02 03 01** | გარე განათების ქსელის ექსპლოტაცია | 352.5 | 1,588.5 |
| **02 03 02** | გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია | 1,020.0 | 6,292.0 |
| **02 04** | მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 0.0 | 0.0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| 02 04 01 | მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების მშენებლობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია | 0.0 | 0.0 |
| 02 04 02 | ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 0.0 | 0.0 |
| 02 05 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 561.0 | 3,286.0 |
| 02 05 01 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია | 301.0 | 2,276.0 |
| 02 05 02 | საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-პატრონობა | 0.0 | 0.0 |
| 02 05 03 | სადღესასწაულო ღონისძიებები | 260.0 | 1,010.0 |
| 02 05 04 | შენობების ფასადების რეაბილიტაცია | 0.0 | 0.0 |
| 02 05 05 | სასაფლაობის მოვლა-პატრონობა | 0.0 | 0.0 |
| 02 06 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები | 1,485.1 | 4,585.1 |
| 02 07 | სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 3,235.6 | 5,008.2 |
| 02 08 | საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა | 1,050.0 | 3,350.0 |
| 02 09 | მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება | 1,015.3 | 3,399.3 |
| 02 09 01 | მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები | 515.3 | 1,115.3 |
| 02 09 02 | მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება | 500.0 | 2,284.0 |

| კოდი | პროგრამის დასახელება | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 01 | | | 18,868.5 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | | პროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.<br><br>**პროგრამის მიზანია:**<br><br>• მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში არსებობდეს გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა.<br>• მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს ჰქონდეს უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ადმინისტრაციულ ცენტრამდე და ქალაქის მიმართულებით. | |
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | | მუნიციპალიტეტის ქალაქის და სოფლების გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა. | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | გზების კაპიტალური შეკეთება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 01 02 | | | 18,796.5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა გზების მოწყობა - რეაბილიტაციას.<br><br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br><br>• მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში არსებობდეს გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა.<br>• მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს ჰქონდეს უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ადმინისტრაციულ ცენტრამდე და ქალაქის მიმართულებით |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | მუნიციპალიტეტის ქალაქის და სოფლების გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა. |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 01 03 | | | 72.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | | ქვეპროგრამის ფარგლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სივრცეებში ხორციელდება ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების დამონტაჟება და ექსპლოატაცია.<br><br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br><br>მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. | |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | | შემცირებულია მოსახლეობის მხრიდან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტები. | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | წყლის სისტემების განვითარება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 02 | | | 1,528.5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | • ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური<br>• ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვის ცენტრი | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | | პროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სისტემების მოწყობა/რეაბილიტაციას და არსებული სისტემების მოვლა-პატრონობას. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.<br><br>წყლის სისტემების განვითრების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამა და სასმელი წყლის სისტემის ექსპლოტაციის ქვეპროგრამა. ექსპლოტაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან.წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წლის სისტემის რეაბილიატაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წლის სისტემის ექსპლოტაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.<br><br>**პროგრამის მიზანია:**<br><br>- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება;<br><br>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებლი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს;<br><br>- წყლის სისტემების ექსპლოტაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. | |
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | | • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობს სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი;<br>• მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს სასმელ წყალზე აქვს შეუფერხებლი წვდომა;<br>• აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად;<br>• წყლის სისტემაში პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. | |

| | |
|---|---|
| | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 02 01 | | | 252.5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვის ცენტრი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის 67 სოფელში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რომელიც გულისხმობს შემდეგი სამუშაოების შესრულებას: მუნიციპალიტეტის სოფლების არსებული წყლის რეზერვუარების გაწმენდა-შეკეთება; მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; ამორტიზირებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება.ყოველდღიურად წყლის სათავე ნაგებობების შემოვლა შემოწმებები, დაზიანებული მაგისტრალების აღდგენა, შედუღება, ურდულების შეცვლა, ჭაბურღილების მოვლა პატრონობა, ჭების მოწესრიგება, გასუფთავება და სხვა .<br><br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br><br>სოფლის მოსახლეობის, ასევე მოაგარაკეებისა და ტურისტებისათვის უწყვეტ რეჟიმში სასმელი წყლით მომარაგება. | | |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს 24 საათის განმავლობაში მიეწოდება სასმელი წყალი. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 02 02 | | | 1,276.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი ჭაბურღილების, სათავე ნაგებობებისა და სასმელი წყლის მაგისტრალების მოწყობა/რეაბილიტაციას.<br><br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br><br>- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება;<br><br>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებლი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს;<br><br>- წყლის სისტემების ექსპლოტაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. | | |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობს სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი;<br>• - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს სასმელ წყალზე აქვს შეუფერხებლი წვდომა;<br>• - აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად; | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | გარე განათება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 03 | | | 1,372.5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | • ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური<br>• ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვის ცენტრი | | |
| | პროგრამა მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის ექსპლოატაციას და გარე განათების ახალი ქსელის მოწყობას. | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია:<br><br>ღამის საათებში მუნიციპალიტეტის ქუჩების და საზოგადოებრივი სივრცეების განათება. |
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | ღამის საათებში განათებული მუნიციპალიტეტის ქუჩები და საზოგადოებრივი სივრცეები. |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 03 01 | | | 352.5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვის ცენტრი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების სისტემის მოვლა პატრონობა, დაზიანებული სანათების ამოცვლა, შესყიდული ახალი სანათებით , ძველი ამორტიზებული ბოძების ამოცვლა, შეკეთება.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია:<br><br>ღამის საათებში მუნიციპალიტეტის ქუჩების და საზოგადოებრივი სივრცეების განათება. | | |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | გამართული გარე განათების სისტემა, ღამის საათებში განათებული მუნიციპალიტეტი. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | გარე განათების ქსელის მოწყობა-რებილიტაცია | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 03 02 | | | 1,020.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (შიდა გზები, მაგისტრალები) გარე განათების ახალი მაგისტრალების მოწყობა ასევე დასასვენებელ სკვერებში და პარკებში განთების მოწყობა.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია:<br><br>ღამის საათებში მუნიციპალიტეტის ქუჩების და საზოგადოებრივი სივრცეების განათება. | | |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილი გამართული გარე განათების სისტემა. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 05 01 | | | 301.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორცილედება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე  სკვერებისა და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა:<br><br>ქვეპროგრამის მიზანია:<br><br>მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სკვერებისა და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა: | | |

| | |
|---|---|
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | ქვეპროგრამის ფარგლებში რეაბილიტირებული სკვერებით შეიქმნება კომფორტული და ჯანსაღი გარემო მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის. |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | სადღესასწაულო ღონისძიებები | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 05 03 | | | 260.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორცილედება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სადღესასწაულო ღონისძიებების დაფინანსება.<br><br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br><br>ტრადიციული, კულტურული-სანახაობრივი ღონისძიებების მოწყობა. | |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | | მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდა, მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 06 | | | 1,485.1 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი, რომლის გაანგარიშებაც ხდება შემდეგი პრინციპით:<br>ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი;<br>ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 12 000 ლარი;<br>გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 16 000 ლარი;<br>დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 20 000 ლარი.<br><br>დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით:<br>ა) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი;<br>ბ) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100 ამომრჩეველმა;<br>გ) დასახლებას, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200 ამომრჩეველმა.<br>თანხის გამოყოფასთან და ხარჯვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები და კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილებით.<br><br>მოსახლეობის აქტიურობის გაზრდა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყეტაში; | |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | | იმ მცირე პროექტების დაფინანსება, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| 02 07 | | | 3,235.6 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობის, ნაპირსამაგრი სამუშაობის და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.<br><br>2022 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, პროგრამიდან შესაძლებელია განხორციელდეს სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმინილი გადაუდებებლი აუცილებლობის გათვალისწინებით.<br><br>**პროგრამის მიზანია:** სტიქიის პრევენცია. | | |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უსაფრთხოების გაზრდა;<br>გზაბის და სხვა ინფრასტრუქტურის ესპლუატაციის ხანგრძილობის გაზრდა. | | |

| კოდი | პროგრამის დასახელება | საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 08 | | | 1050.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ათას ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.<br><br>**პროგრამის მიზანია:**<br><br>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.<br><br>ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად მომზადება | | |
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს). | | |

| კოდი | პროგრამის დასახელება | მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 09 | | | 1,015.3 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის შექმნა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობის, მ.შ. საბავშვო ეტლით მოსარგებლე პირების, შშმ პირების სწრაფ, უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას.<br><br>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება აგრეთვე მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურების დაფინანსება სუბსიდიის სახით, რომლითაც განხორციელდება მუნიციპალური ტრანსპორტის გამართულად ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.<br><br>**პროგრამის მიზანია:** | | |

| | |
|---|---|
| | მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი ფუნქციონირება.<br><br>მუნიციპალური ტრანსპორტით მოსარგებლეთათვის კომფორტული გადაადგილება |
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და ვიზიტორებს ემსახურება თანამედროვე, კომფორტული საზოგადოებრივი ტრანსპორტი. |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 09 01 | | | 515.3 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალური სატარნსპორტო სისტემის განვითარებისათვის საჭირო თანამედრო ტიპის ავტობუსების შეძენა, ასევე განხორციელდება მუნიციპალური ტრანსპორტის გასაჩერებელი ადგილების მოწყობა/მონიშვნა, ტაბლოების მოწყობა და სხვა.<br><br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br><br>მოქალაქეების უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება | |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | | მუნიციპალიტეტს გააჩნია თანამედროვე, გამართული სატრანსპორტო სისტემა მოქალაქეების უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისათვის. | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 09 02 | | | 500.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვის ცენტრი | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | | ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის სერვის ცენტრს გადმოეცა 5 ერთეული ISUZU NOVOCITI BUS ავტობუსი, რომელიც მოემსახურება მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას ტრანსპორტირებაში. | |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | | სოფლებში მცხოვრები ყველა სოციალური ფენის მოსახლის მოთხოვნების დაკმაყოფილება ტრანსპორტირების გაიოლების და ფასის მიხედვით | |

## მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3095,0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2025 წლის გეგმა | დაფინანსება 2025-2028 წლებზე |
|---|---|---|---|
| 03 00 | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **3,095.0** | **11,895.0** |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 2,690.0 | 10,043.0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 03 02 | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | 325.0 | 1,492.0 |
| 03 03 | კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში | 0.0 | - |
| 03 04 | უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები | 80.0 | 360.0 |

| კოდი | პროგრამის დასახელება | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 03 01 | | | 2,690.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვის ცენტრი | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | | პროგრამის ფარგლებში 3 ერთეული მერსედესის ტიპის, 2 ერთეული ფოტონის ტიპის და 1 ერთეული ჯაკ ის, 4 ერთეული IVECO ს ტიპის ნაგავმზიდის, 1 ერთეული HINO DUTRO პლასტიკის შესაგროვებელი ნაგავმზიდიt სისტემატურად ხორციელდება ქ. ლაგოდეხიდან და მუნიცპალიტეტის სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების DA PLASTIKIS გატანა, ქ. ლაგოდეხში მდებარე ქუჩებისა და სკვერების დაგვა-დასუფთავება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ნაგავშემკრები კონტეინერების რაოდენობა შედგენს 1120 ერთეულს მათ შორის ქალაქში განთავსებულია 595 ერთეული ხოლო მუნიციპალიტეტის სოფლებში 525 ერთეული. 65 ერთეული ბადიანი ურნა. პერიოდულად იწმინდება ქალაქში და სოფლებში არსებული სანიაღვრე არხები, ასევე ხორციელდება ცენტრალური საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება.<br><br>პროგრამიდან ფინანსდება ქალაქის სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი ტუალეტების მოვლა-შენახვა. პროგრამისთვის გამოყოფილი ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ სერვის ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის პერსონალის ხელფასებს.<br><br>**პროგრამის მიზანია:**<br><br>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისუფთავის და სანიტარული მდგომარეობის მაღალი დონის მიღწევა. | |
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | | • დასუფთავებული ქუჩები და საზოგადოებრივი სივრცეები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე<br><br>მუდმივად და შეუფერხებლად ხორციელდება დასუფთავება და ნარჩენის გატანა. | |

| კოდი | პროგრამის დასახელება | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 03 02 | | | 325.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვის ცენტრი | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | | ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვის ცენტრი ახორციელებს როგორც ერთწლიანი, ასევე მრავალწლიანი ნარგავებისა და ყვავილების შესყიდვას,, რომლებიც შემდეგ ირგვება ქალაქის სკვერებში, პარკებში, გაზონებზე, სოფლების გზის გვერდეულებზე და სხვა.საჭიროების შემთხვევაში წლის განმავლობაში ხდება ახალი და არსებული ნარგავების მოვლა პატრონობა, , ხდება ნარგავების შემობარვა- შემოთოხვები, ხეების შეთეთრება ჩამქრალი კირით,ირწყვება პარკები და გაზონები, ნიადაგი მდიდრდება სასუქით, ნარგავები იწამლება სხვადასხვა წამლით, სარეველა მცენარეები იწამლება ბალახსაწინააღმდეგო წამლით, მიმდინარეობს ხეების ჭრა ვარჯის ფორმირებები , ტერიტორიების თიბვა, და სხვა, რისთვისაც ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვის ცენტრი იყენებს სხვა და სხვა სასოფლო სამეურნეო მანქანა დანადგარებს, საჭრელებს, სათიბებს და სხვა.2024 წელს ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის ცენტრს გადმოეცა ერთი ერთეული ცისტერნა/TANK, რომლის დახმარებითაც ხდება არსებული ნარგავების რწყვა.<br><br>**პროგრამის მიზანია:**<br><br>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დარგვა და არსებული გამწვანების მოვლა პატრონობა. | |
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | | გალამაზებული და გამწვანებული მუნიციპალიტეტი | |

| კოდი | პროგრამის დასახელება | უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 03 04 | | | 80.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპაილტეტის ტერიტორიაზე მყოფი უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების ვეტერინარულ კლინიკაში გადაყვანა საჭირო აცრების ჩატარება.<br><br>**პროგრამის მიზანია:**<br><br>უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველებზე ზრუნვა. | |
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | | უპატრონო ცხოველების მხრიდან გადამტანი დაავადებების გავრცელების დაბალი რისკი. | |

## მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 7232,8 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2025 წლის გეგმა | დაფინანსება 2025-2028 წლებზე |
|---|---|---|---|
| 04 00 | **განათლება** | **7,232.8** | **27,905.3** |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 5,600.0 | 26,268.0 |
| 04 02 | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა | 0.0 | 0.0 |
| 04 03 | განათლების ღონისძიებები | 1,631.3 | 1,631.3 |
| 04 04 | წარმატებული პედაგოგის დაჯილდოება | 1.5 | 6.0 |

| კოდი | პროგრამის დასახელება | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 04 01 | | | 5,600.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება. | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | | საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 30 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1419 ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 365 ადმინისტრაციული პერსონალი.<br><br>**პროგრამის მიზანია:**<br><br>ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა. ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. | |

| | |
|---|---|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტები: დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო პროცესი და სასკოლო მზაობის პროგრამის უზრუნველყოფა, სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში ისარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1600 შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 87%-ს შეადგენს. |

| კოდი | პროგრამის დასახელება | განათლების ღონისძიებები | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 04 03 | | | 1,631.3 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება. | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში ლაგოდეხის მინიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორცილედება საჯარო სკოლის იმ მოსწავლეების ტრანსპორტირება, რომელთა საცხოვრებელი ადგილი სკოლიდან მინიმუმ 2 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს.<br><br>პროგრამის ფარგლებში, ასევე ხორციელდება საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.<br><br>**პროგრამის მიზანია:**<br><br>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლები იყოს კეთილმოწყობილი და მუნიციაპლიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებმა სასკოლო ასაკის მქონე ყველა მოქლაქემ შეძლოს საშუალო განათლების მიღება. | | |
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლები არის კეთილმოწყობილი, ასევე საჯარო სკოლის მოსწავლეები ნაკლებ დროსა და რესურს ხარჯავენ სკოლაში წასვლისა და სკოლიდან საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებისათვის. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | წარმატებული პედაგოგის დაჯილდოება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 04 04 | | | 1.5 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის მოქმედი ან ყოფილი - საქართველოს დამსახურებული ან მენტორი მასწავლებელის ფულადი ჯილდოს გადაცემა ტიტულის მოპოვებისთვის, მხოლოდ ერთხელ - 500 ლარის ოდენობით.<br><br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br><br>განათლების სექტორში კვალიფიციური კადრების გაზრდა. | | |
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | პედაგოგების წახალისებით, კვალიფიკაციის ამაღლებით დაინტერესებული პედაგოგების რიცხვი გაზრდილია. | | |

## მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4693.1 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2025 წლის გეგმა | დაფინანსება 2025-2028 წლებზე |
|---|---|---|---|
| 05 00 | **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** | **4,693.1** | **17,829.1** |
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 2,753.5 | 9,220.3 |
| 05 01 01 | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 427.4 | 1,910.3 |
| 05 01 02 | წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება | 30.0 | 180.0 |
| 05 01 03 | კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში | 2,296.1 | 7,130.0 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 1,592.0 | 7,198.5 |
| 05 02 01 | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა | 1,112.0 | 4,995.5 |
| 05 02 02 | სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა | 440.0 | 2,043.0 |
| 05 02 03 | კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში | 0.0 | 0.0 |
| 05 02 04 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 40.0 | 160.0 |
| 05 03 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 55.6 | 262.3 |
| 05 04 | ,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოების ინიციატივების“ დაფინანსება/თანადაფინანსება | 55.0 | 55.0 |
| 05 05 | წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოება | 153.0 | 628.0 |
| 05 06 | საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების და კონკურსების დაფინანსება/თანადაფინანსება | 68.0 | 383.0 |
| 05 07 | წარმატებული ქორეოგრაფიული ან/და ფოლკლორული ანსამბლების თანადაფინანსება | 16.0 | 82.0 |

| კოდი | პროგრამის დასახელება | სპორტის სფეროს განვითარება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 05 01 | | | 2,753.5 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | • ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია<br>• ა(ა)იპ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რებილიტაცია, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპოტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება და ა(ა)იპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი“ის სუბსიდირება.<br><br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br><br>სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; | |
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | | გაზრდილია სპორტის სხვადასხვა წრეებში ჩართული ბავშვების რაოდენობა, ასევე გაზრდილია ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევარ მოქალაქეთა რაოდენობა. | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 05 01 01 | | | 427.4 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სპორტული ცენტრი აერთიანებს 8-სპორტულ მიმართელებას, ესენია: ფეხბურთი (305ბავშვი, გოგო 35, ბიჭი 270); ქართული ჭიდაობა (65 ბავშვი, გოგო 20, ბიჭი 45); ძიუდო (59 ბავშვი ბიჭები45, გოგო 14); ჭადრაკი (10 ბავშვი, გოგო-7, ბიჭი-3); კალათბურთი (71 ბავშვი გოგო-20 ბიჭი 51). კრივი (36 ბავშვი გოგო-16, ბიჭი-20), ფრენბურთი (68 ბავშვი, გოგო-28 ბიჭი-40) ხელბურთი (16 ბავში გოგო-6, ბიჭი-10) სულ ცენტრში სპორტის სხვადასხვა სახეობებს ეუფლება 630 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო ვარჯიშები უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტული ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა.<br><br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br><br>სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; | | |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | გაზრდილია სპორტის სხვადასხვა წრეებში ჩართული ბავშვების რაოდენობა, ასევე გაზრდილია ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევარ მოქალაქეთა რაოდენობა. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 05 01 02 | | | 30.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება. ასევე გუნდის გამარჯვების შემთხვევაში (ფეხბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში, კალათბურთში ან სხვა) გუნდის თითოეული სპორტსმენის და მწვრთნელის დაჯილდოება. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, სამოქალაქო აქტიურობის, სპორტის გავრცელებული სახეობებისათვის ტრადიციების შენარჩუნებისა და მათი პოპულარიზაციის მიზნით. (დამტკიცებული წესის შესაბამისად).<br><br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br><br>საქართველოს სახელით მოასპარეზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრში მოქმედ სპორტულ წრეებში აღზრდილი და ბოლო სამი წლის განმავლობაში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებულ სპოტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება. | | |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | ა(ა)იპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრში მოქმედ სპორტულ წრეებში აღზრდილი წარმატებული სპორტსმენების რაოდენობის ზრდა. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 05 01 03 | | | 2,296.1 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორციელდება სხვადასხვა სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია.<br><br>**ქვეპროგრამის მიზანია:** მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რათა ხელი შეეწყოს მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. | | |
| | ლაგოდეხის მუნიციაპლიტეტში არის გამართული სპორტული ინფრასტრუქტურა და მუნიციპალიტეტის | | |

| | |
|---|---|
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაში გაზრდილია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ეწევიან ჯანსაღი ცხოვრების წესს. |

| კოდი | პროგრამის დასახელება | კულტურის სფეროს განვითარება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 05 02 | | | 1,592.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | • ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება<br>• ა(ა)იპ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | | პროგრამის ფარგლებში ხორცილედება ა(ა)იპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი“-ის და ა(ა)იპ „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“-ის სუბსიდირება, ასევე სხვდასხვა კულტურული ობიექტების მშენებლობა-რებილიტაცია.<br><br>**პროგრამის მიზანია:**<br><br>• მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა შეძლონ სახელოვნებო განათლების მიღება და მონაწილეობის მიღება ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.<br>• კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე.<br>• განხორციელდეს სხვადასხვა კულტურული ობიექტების რეაბილიტაცია. | |
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | | • მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა ახლაგაზრდას აქვს შესაძლებლობა მიიღოს სახელოვნებო განათლება.<br>• მუნიციპალიტეტის მასშტაბით ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარება.<br>• ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების რეაბილიტაცია. | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 05 02 01 | | | 1,112.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | | მუნიციპალიტეტში კულტურის მიმართულებით პოლიტიკას განსაზღვრავს კულტურის, სპორტისა და ახალგარდული სამსახური. სამსახური გეგმავს და ახორციელებს მასობრივ კულტურულ ღონისძიებებს, ფესტივალებს, ლიტერატურულ შემოქმედებითი საღამოებს; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას. ახდენს მოქალაქეების ინფორმირებას და უზრუნველყოფს ღონისძიებებში მოქალაქეების ჩართულობას.<br><br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br><br>კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითერაბა; კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღრმავების ხელშეწყობა; შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება. | |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | | ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; შედეგად გაზრდილი იქნება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია. | |

| კოდი | პროგრამის დასახელება | სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 05 02 02 | | | 440.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 სამუსიკო სკოლა (ქ. ლაგოდეხის, სოფ. აფენის, სოფ. ლელიანის და სოფ. ვარდისუბნის) და 1 სამხატვრო (ქ. ლაგოდეხის) სკოლა.<br><br>სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია საფორტეპიანო და ვიოლინოს მიმართულებები. სამუსიკო სკოლებში 7 წლიან სამუსიკო განათლებას იღებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 220 ბავშვი აქედან 143 გოგო და 77 ბიჭი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები)39 თანამშრომელს აქედან 35 ქალი.<br><br>სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, გობელენს, ხელოვნებათმცოდნეობას. სამხატვრო სკოლაში 5 წლიანი სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 41 ბავშვი აქედან 3 3გოგო და 8 ბიჭი. სკოლაში სულ დასაქმებულია 3 პედაგოგი - 3 ქალი.<br><br>პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ა(ა)იპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მიმდინარე ხარჯები (ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი). დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 18 ადამიანს, აქედან 14 ქალი და 4 მამაკაცი.<br><br>**ქვეპროგრამის მიზანია:** შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კლასიკური მუსიკის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; უფასო, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები და სამხატვრო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამხატვრო და სამუსიკო განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების მოსწავლეები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.<br><br>ჩატარდა გეგმით გათვალისწინებული შიდა სასკოლო კონცერტები და კონკურსები, და გაერთიანების გუნდების ზეიმი 1 ივნისს, აგრეთვე 10 ივნისის გაერთიანების ღია აკადემიური კონცერტი. საახალწლო ღია კონცერტები ყველა სკოლაში, ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტები ასევე ყველა სკოლაში. შიდა კონკურსები, პერიოდულად ტარდებოდა ღია გაკვეთილები სხვადასხვა საგნებში. ყველა კონცერტს თან ახლდა სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები. |

| კოდი | პროგრამის დასახელება | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 05 03 | | | 55.6 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, ახალგაზრდებისთვის არაფორმალური საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობა, ახალგაზრდების ჩართულობას მასობრივ ღონისძიებებში, ახალგაზრდების ნიჭისა და უნარების თვითრეალიზებია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიებები, ფესტივალები, გასართობი, შემეცნებითი და არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობები, ლაშქრობები.<br><br>**პროგრამის მიზანია:**<br><br>ახალგაზრდობის მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციის შესაძლებლობას, მათი საქმიანობის სტიმულირებას. მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში მოეწყობა ლაშქრობები, არქეოლოგიური და ახალგაზრდული ბანაკები-სკოლები. | |
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | | არაფორმალური განათლების და სხვადასხვა შემეცნებით თუ ინტელექტუალურ აქტივობებში ჩართული ახალგაზრდები. ასევე ჩართულნი არიან როგორც პროგრამის დაგეგმვის პროცესში ასევე სხვადასხვა გასართობი ღონისძიებების ორგანიზებაში. ხდება მათი ნიჭისა და უნარების გამოვლენა. | |

| კოდი | პროგრამის დასახელება | ,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოების ინიციატივების“ დაფინანსება/თანადაფინანსება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 05 04 | | | 55.0 |

| | |
|---|---|
| პროგრამის განმახორციელებელი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ერთჯერადი ან მრავალჯერადი ახალგაზრდული ღონისძიებ(ებ)ის (განათლების, კულტურის, სპორტის, ზანაკების და სხვა) ორგანიზება, არაფორმალური განათლება (ტრენინგი/სემინარი), საერთაშორისო და ადგილობრივი გაცვლითი ახალგაზრდული პროგრამების ორგანიზება და მათში მონაწილეობა, ახალგაზრდული მეწარმეობის მხარდაჭერა, ინოვაციური იდეის მხარდაჭერა, სოციალურ სფეროში განსახორციელებელი ისეთი აქტივობა, რომელიც არ ხორციელდება ადგილობრივი და სახელმწიფო სხვა პროგრამის ფარგლებში, ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის ხელშეწყობა, ჯანდაცვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, მცირე ინფრასტრუქტურის განვითარება რომელიც გამომდინარეობს ახალგაზრდების ინტერესებიდან, გარემოსდაცვითი საკითხები, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების განვითარებისთვის საჭირო სხვა პროექტების განხორციელება დამტკიცებული წესის მიხედვით.<br><br>ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოებს შეუძლიათ პროექტი განახორციელონ ინდივიდუალურად ან ერთობლივად.<br><br>**პროგრამის მიზანია:**<br><br>ახალგაზრდა ელექტორატის სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და კვალიფიკაციის გაზრდა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან სისტემური ინსტიტუციური დიალოგისა და თანამშრომლობის გზით. |
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესებში ჩართული ახალგაზრდები |

| კოდი | პროგრამის დასახელება | წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 05 05 | | | 153,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | **1.** ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებისთვის, რომლებიც საბაზო ან საშუალო განათლების საფეხურის დამთავრებისთანავე იმავე წელს ჩაირიცხებიან აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში, ერთჯერადი ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:<br><br>ა) ოქროს მედალოსანი სტუდენტის ერთჯერადი ფულადი ჯილდო - 600 ლარის ოდენობით, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 100% გრანტის მოპოვების შემთხვევაში – 1 000 ლარით, ხოლო ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებიდან გამომდინარე, TOP - 501 საუკეთესო აბიტურიენტს შორის მოხვედრის შემთხვევაში – 1500 ლარი;<br><br>**ბ)** ვერცხლის მედალოსანი სტუდენტის ერთჯერადი ფულადი ჯილდო – 500 ლარის ოდენობით, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მოპოვების შემთხვევაში – 1 000 ლარი, ხოლო ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებიდან გამომდინარე, TOP - 501 საუკეთესო აბიტურიენტს შორის მოხვედრის შემთხვევაში – 1500 ლარი;<br><br>**გ)** უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული სტუდენტის ერთჯერადი ფულადი ჯილდო – 400 ლარის ოდენობით, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მოპოვების შემთხვევაში – 1000 ლარი, ხოლო ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებიდან გამომდინარე, TOP - 501 საუკეთესო აბიტურიენტს შორის მოხვედრის შემთხვევაში - 1500 ლარი;<br><br>**2.** ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებისთვის, რომლებიც, სკოლის დამთავრებისთანავე იმავე წელს ჩაირიცხებიან აკრედიტირებულ პროფესიულ სასწავლებლებში, ერთჯერადი ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს - 300 ლარის ოდენობით.<br><br>**3.** მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისთვის, რომლებიც აგროვებენ ორივე სემესტრში, ყველა საგანში 91 დან -100 ქულამდე ან/და GPA რეიტინგი სემესტრის მიხედვით 91 -დან ზემოთ ქულას, ერთჯერადი ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს - 1000 ლარით.<br><br>**4.** აკრედიტებულ პროფესიულ სასწავლებელში ჩარიცხული, მაღალი აკადემიური მოსწრების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ)სტუდენტებისთვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან და ამავე დროს ცხოვრობენ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ერთჯერადი ფულადი წახალისება განისაზღვრება - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.<br><br>**პროგრამის მიზანია**: მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების განათლების ხელშეწყობით და წახალისებით წარმატებული ახალგაზრდებისა და კვალიფიციური კადრების რაოდენობის ზრდა. ახალგაზრდებში, პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და დასაქმების ხელშეწყობა. შშმ პირთა პროფესიული განათლების დაუფლების ხელშეწყობა, მათი სოციალიზაციისა და დასაქმების რაოდენობის ზრდის მიზნით. ალკოჰოლიზმის, ლუდომანიის, აზარტული თამაშებზე დამოკიდებული ახალგაზრდების, უმუშევრობის რიცხვის შემცირება . | | |
| | მუნიციპალიტეტში მცხოვრები წარმატებული სტუდენტების, აბიტურიენტების, პროფესიული მიმართულებით | | |

| | |
|---|---|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | გადამზადებულული ახალგაზრდების რაოდენობა გაზრდილია, დასაქმებული კვალიფიციური კადრების რაოდენობა გაზრდილია და შემცირებულია ალკოჰოლიზმის, ლუდომანიის, აზარდტული თამაშებზე დამოკიდებული და უმუშევარი ახალგაზრდების რიცხვი. გაზრდილია სოციალიზირებული და დასაქმებული შშმ პირების რაოდენობა. |

| კოდი | პროგრამის დასახელება | საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების და კონკურსების დაფინანსება/თანადაფინანსება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 05 06 | | | 68,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების განხორციელდების მიზნით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა მიმართოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ან მის ფარგლებს გარეთ რეგისტრირებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა, წარუდგინოს საპროექტო განაცხადი, რომლის შენაარსი პასუხობს საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ-შემეცნებით, კულტურულ ან/და ახალგაზრდული მიმართულების ხელშეწყობას და განვითარებას, ასევე დაურთოს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება და მოითხოვოს მიზნობრი თანადაფინანსების თანხა.<br><br>საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს - 50000 ლარისა.<br><br>**პროგრამის მიზანია**: გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა, არაფორმალური განათლების მიღებით დაინტერესებული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა, პასუხისმგებლიანი მოქალაქეების რაოდენობის ზრდა, მავნე დამოკიდებულებებით (ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, ლუდომანია და ა.შ) დაინტერესებული ახალგაზრდების რიცხვის შემცირება, საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროგრამების განხორციელებით. | | |
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | განხორციელებულია საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროგრამები, გაზრდილია გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობა, გაზრდილია არაფორმალური განათლების მიღებით დაინტერესებული ახალგაზრდების რიცხვი, გაზრდილია პასუხისმგებლიანი მოქალაქეები რაოდენობა, შემცირებულია მავნე დამოკიდებულებებით (ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, ლუდომანია და ა.შ) დაინტერესებული ახალგაზრდების რიცხვი. | | |

| კოდი | პროგრამის დასახელება | წარმატებული ქორეოგრაფიული ან/და ფოლკლორული ანსამბლების თანადაფინანსება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 05 07 | | | 16,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | საქართველოს მასშტაბით ფესტივალ -კონკურსებზე გამარჯვებული, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილე ქორეოგრაფიული ან/და ფოლკლორული ანსამბლი, რომელიც რეგისტრირებულია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ბოლო 3 წლის განმავლობაში უწყვეტად ახორციელებს ზ/აღნიშნულ საქმიანობას, ანსამბლის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, ფორმების, აქსესუარების, მუსიკალური ინსტრუმენტების ან/და სხვა მსგავსი რეკვიზიტების შესაძენად, წელიწადში ერთხელ, ერთჯერადი თანადაფინანსების სახით, განისაზღვროს - 2000 ლარი.<br><br>**პროგრამის მიზანია**: მუნიციპალიტეტში მოქმედი ქორეოგრაფიული ან/და ფოლკლორული ანსამბლების ხელშეწყობით, ხელოვნების სფეროთი დაინტერესებული ახალგაზრდების რიცხვის ზრდა, დარგის (ხალხური შემოქმედების) კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაცია და მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდა, ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ ფესტივალებზე/კონკურსებზე მონაწილეობით. | | |
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | გაზრდილია ქორეოგრაფიული და ფოლკლორული სფეროთი დაინტერესებული ახალგაზრდების რიცხვი, ახალგაზრდებში პოპულარულია კულტურული მრავალფეროვნებისა და ხალხური შემოქმედების დარგი, გაზრდილია ქვეყნის შიგნით და ქვეყნის ფარგლებს გარეთ ფესტივალებში/კონკურსებში მონაწილეობის რიცხვი და გაზრდილია ცნობადობა მუნიციპალიტეტის შესახებ. | | |

## მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2133,8 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2025 წლის გეგმა | დაფინანსება 2025-2028 წლებზე |
|---|---|---|---|
| 06 00 | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **2,133.8** | **8,263.5** |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 291.9 | 1,167.6 |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | 291.9 | 1,167.6 |
| 06 01 02 | ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია | 0.0 | 0.0 |
| 06 02 | სოციალური დაცვა | 1,841.9 | 7,095.9 |
| 06 02 01 | ჰემო დიალიზზე და პერიტონიალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვა | 85.0 | 355.0 |
| 06 02 02 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 218.3 | 981.3 |
| 06 02 03 | სამედიცინო კვლევებისა და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება | 710.0 | 2,810.0 |
| 06 02 04 | უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსების პროგრამა | 95.6 | 414.9 |
| 06 02 05 | სტუდენტების დახმარების პროგრამა | 0.0 | 0.0 |
| 06 02 06 | მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა | 160.0 | 735.0 |
| 06 02 07 | იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა | 19.2 | 76.8 |
| 06 02 08 | ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა | 6.1 | 30.2 |
| 06 02 09 | მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა | 60.0 | 250.0 |
| 06 02 10 | უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის თბობის სეზონთან დაკავშირებით ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება | 60.0 | 240.0 |
| 06 02 11 | 100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა | 2.7 | 14.7 |
| 06 02 12 | სარიტუალო ხარჯი | 15.0 | 60.0 |
| 06 02 13 | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დახმარების პროგრამა | 101.7 | 360.7 |
| 06 02 14 | მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა | 110.0 | 110.0 |
| 06 02 15 | სოციალური მიზნის მქონე პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება | 10.0 | 40.0 |
| 06 02 16 | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა | 125.3 | 275.3 |
| 06 02 17 | კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი სოციალურად დაუცველი და ხანდაზმული ოჯახების ხელშეწყობა | 0.0 | 90.0 |
| 06 02 18 | პერსონალური ასისტენტის მომსახურების უზრუნველყოფა | 63.0 | 252.0 |

| კოდი<br>06 01 01 | ქვეპროგრამის დასახელება | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში<br>291.9 |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯან. დაცვის სამსახური | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | | "მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.<br><br>საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტრატეგიულ ფუნქციები: გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა. საკვებისა და სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა და მუნიციპალური მმართველობის ორგანოების ინფორმირება სავარაუდო საკვებისმიერი და წყლისმიერი ინფექციების გავრცელების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ; ჯანმრთელობის განმტკიცება ჯანმრთელობის დაცვაში უთანასწორობისა და სოციალურ დეტერმინანტებზე ზემოქმედების განხორციელების გზით; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა.; მოსახლეობის, თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფა, ადეკვატური დაფინანსების მიღწევა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისებსა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზუნველყოფა; ჯანმრთელობის ადვოკატირება, მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, საინფორმაციო განმარტებითი საქმიანობა, სოციალური მობილიზაცია; მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება." | |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | | • მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.<br>• მართვადი ინფექციების საწინააღმდეგო ვაქცინაციით მოცვის მაღალი მაჩვენებელი, ზოგადი იმუნური ფენის შექმნა, მართვადი ინფექციებისაგან დაცული მოსახლეობა; ანტირაბიული ვაქცინაციის შემთხვევაში ვაქცინაციით დაცული პაციენტები.<br><br>გადამდები დაავადებების შემთხვევათა რაოდენობის შემცირება. | |

## სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

| კოდი | პროგრამის დასახელება | სოციალური დაცვა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| 06 02 | | | 1,841.9 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება; სოციალურად დაუცველთა დახმარების სისტემის სრულყოფა; მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ოჯახებზე ყოველთვიური ელექტოენერგიის ღირებულების თანადაფინანსების ხელშეწყობა;მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახებზე, საჭიროებიდან გამომდინარე  ჰიგიენური საშუალებების(საფენების)  დაფინანსების ხელშეწყობა; უსინათლო პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება;  იშვიათი და  მძიმე  დაავადების მქონე პაციენტებისათვის ჟანგბადის ბალონების დატვირთვით ხელშეწყობა;გაფანტული სკლეროზის (G35) დიაგნოზის მქონე  ოჯახების მედიკამენტური მკურნალობის დაფინანსების ხელშეწყობა; შეზღუდული შესაძლებლობის (18 წლამდე ასაკის) ბავშვთა ოჯახებზე ყოველთვიური ელექტოენერგიის ღირებულების თანადაფინანსების ხელშეწყობა; შეზღუდული შესაძლებლობის  სტატუსის მქონე ბავშვთა ოჯახზე, რომელსაც ჰყავს ერთი და მეტი არასრულწლოვანი (18 წლამდე ასაკის) ბავშვი ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან (3 დეკემბერი)“ დაკავშირებით , ერთჯერადი ფულადი დახმარება;შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა  ოჯახებზე, საჭიროებიდან გამომდინარე  ჰიგიენური საშუალებების (საფენების) დაფინანსების ხელშეწყობა;  აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე (18 წლამდე) ბავშვთა ოჯახებზე ერთჯერადი ფულადი დახმარება ;  ადრეული ინტერვენციის საჭიროების მქონე აუტისტური სპექტრის (F 84) აშლილობის  და განვითარების ეტაპების (R 62) დაყოვნების მქონე ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ ენისა და მეტყველების, ქცევითი და ფიზიკური თერაპიის კურსის თანადაფინანსების ხელშეწყობას;  იქთიოზი/ კანის ქრონიკული დაავადებით მქონე 18 წლამდე ასაკის პაციენტების მედიკამენტური და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსების  ხელშეწყობა,  დიაბეტით დაავადებულ 18 წლამდე ბავშვებისათვის  სისხლში გლუკოზის საანალიზო ტესტ-ჩხირების  და შესაბამისი რაოდენობის სისხლის ასაღები ლანცეტის ნემსების შესაძენად დაფინანსებაის ხელშეწყობა;   სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების განვითარება; ბავშვთა ადრეული ინტერვენციის ხელშეწყობა; სამედიცინო კვლევების, სტაციონალური მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა; ჯანდაცვის ღონისძიებების – სამედიცინო ჩარევის, კვლევის, მკურნალობის დაფინანსება  ან/და  თანადაფინანსება. ონკოლოგიური (ავთვისებიანი სიმსივნით) დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით დახმარება. ონკოლოგიური (ავთვისებიანი სიმსივნით) დაავადების მქონე პაციენტთა სამედიცინო  კვლევის, მკურნალობის დაფინანსება  ან/და  თანადაფინანსებაის ხელშეწყობა; კოლოსტომის არსებობის შემთხვევაში, პაციენტებისათვის სამედიცინო ჩანთის დაფინანსების ხელშეწყობა;  მარტოხელა მშობლების, ობოლ და მარჩენალდაკარგული  ოჯახებზე ყოველთვიური ელექტოენერგიის ღირებულების თანადაფინანსების ხელშეწყობა;  მარტოხელა, ობოლ და  მარჩენალდაკარგულ ბავშვთაოჯახებზე , რომელსაც ჰყავს ერთი ან მეტი არასრულწლოვანი (18 წლამდე ასაკის) შვილი,  საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით, ერთჯერადი ფულადი დახმარება;  ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახზე პირველ და მეორე შვილზე - ერთჯერადი ფულადი დახმარება;<br><br>ტყუპი ბავშვთა  (ორი და მეტი) ოჯახზე,  ერთჯერადად ფულადი დახმარება; მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალშობილთა ოჯახებზე  , პირველადი ჰიგიენური საშუალებების ,,ახალშობილის კალათი“-ს გადაცემა; მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება; სოციალურად დაუცველ ( 0 -დან 65 000 ქულის მქონე) მრავალშვილიან ოჯახზე, რომელსაც ჰყავს ოთხი და მეტი 18- წლამდე ასაკის შვილი, საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით,  ერთჯერადი ფულადი დახმარება ; ოჯახში  ძალადობის მსხვერპლი პირების ერთჯერადი ფულადი დახმარება; რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების   ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების ხელშეწყობა;   ობოლ და მზრუნველობამოკლებული ბავშვების (ბავშვები, რომელთაც გარდაცვლილი ჰყავს ერთერთი მშობელი, ხოლო მეორე მშობელს შეზღუდული აქვს მშობლის უფლება - მოვალეობა ან /და იმ ბავშვების დახმარება, რომელთა ორივე მშობლებს შეზღუდული აქვს  მშობლის უფლება) დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება;  ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე  კრიზისულ მდგომარეობაში  მყოფი ბავშვებისა და მათი ოჯახების სრულფასოვანი განვითარებისა და კეთილდღეობის მიზნით, პრევენციული ღონისძიებების გატარება.  საყოფაცხოვრებო ნივთებისა (საწერი მაგიდა, სკამი, საწოლი და ტანსაცმლის კომოდი) და საყოფაცხოვრებო ტექნიკით (მაცივარი, სარეცხის მანქანა, გაზქურა.) უზრუნველყოფა.  უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, თბობის სეზონთან დაკავშირებით, ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება. იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა ოჯახები აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკებიდან) ოჯახების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა. უსახლკაროდ დარჩენილი, გაუსაძლის პირობებში მცხოვრები, კრიზისულ ან მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის, სტიქიის (მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი) შედეგად დაზარალებული ოჯახების, ძალადობის მსხვერპლთა უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, დროებით საცხოვრებელით უზრუნველყოფა. ჰემოდიალიზზე და პერიტონიალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა ტრანსპორტირების ხარჯის თანადაფინანსება ყოველთვიურად, მთელი წლის განმავლობაში. 100 წლის და მეტი ასაკის მქონე ხანდაზმულთა დახმარება. მარტოხელა ან/და  სოციალურად დაუცველი პირის გარდაცვალების შემთხვევაში, დაკრძალვის  სარიტუალო ხარჯით უზრუნველყოფა;ომისა და სამხედრო ძალების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ვეტერანის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ  მეომართა ოჯახების ინტერესების დაცვა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მებრძოლთა, გარდაცვალების შემთხვევაში, სარიტუალო ხარჯი; სადღესასწაულო ღონისძიებების შემთხვევაში: ერთჯერადი ფულადი  დახმარება (8 მარტს ვეტერან ქალბატონებს,) ერთჯერადი ფულადი  დახმარება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველ ვეტერანთა ოჯახები). 2008 წლის 8 აგვისტოს, რუსეთ - საქართველოს ომის დროს, გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის ოჯახის ერთჯერადი ფულადი დახმარება; უფასო კვების ობიექტებისათვის ბენეფიციარების შერჩევა და შემდგომი მონიტორინგი. უმწეო ხანდაზმულთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა და მათი სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა; საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგი. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კრიზისში მყოფი ოჯახების, მათ შორის ხანდაზმულების, საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, საოჯახო ინვენტარის ან/და    საყოფაცხოვრებო ტექნიკით უზრუნველყოფა. | | |
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ჰემოდიალიზზე და პერიტონიალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 06 02 01 | | | 85.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავდროულად ფაქტობრივად მაცხოვრებელი თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფა 200 ლარის ოდენობით პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად .<br><br>პროგრამით შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად 40 ოჯახის ფინანსური დახმარება.<br><br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br><br>დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია. | | |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 06 02 02 | | | 218.3 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ამ დახმარების მიმღები არის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავდროულად ფაქტობრივად მაცხოვრებელი ოჯახები: კერძოდ ოკჯახი, რომელსაც ჰყავს ოთხი და მეტი 18-წლამდე ასაკის შვილი, მრავალშვილიან ოჯახს დახმარება გაეწევა ერთჯერადად, თითოეულ 18-წლამდე ასაკის შვილზე 100 ლარის ოდენობით, ხოლო სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახს საახალწლოდ ერთჯერადად ჩაერიცხებათ თანხა - 300 ლარის ოდენობით. ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახზე პირველ შვილზე - ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით 200 ლარი და ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახზე მეორე შვილზე - ერთჯერადი ფულადი დახმარება 300 ლარი ხოლო ყველა ახალშობილზე რომელიც დაიბადება წლის განმავლობაში გადაეცემა ,,ახალშობილის კალათი ". ოჯახი რომელსაც შეეძინა ტყუპი ბავშვი (ორი და მეტი) ერთჯერადად ფულადი დახმარების სახით ჩაერიცხებათ თანხა- 1000 ლარი. ობოლ, მარჩენალდაკარგულ ბავშვთა და მარტოხელა მშობელზე, რომელსაც ჰყავს ერთი ან მეტი არასრულწლოვანი (18 წლამდე ასაკის) შვილი - ელექტოენერგიის დაფინანსება გაიცემა 12 თვეზე, ყოველთვიური ლიმიტის - 15 ლარის ოდენობით, განცხადების შემოტანიდან მომდევნო 6 თვის განმავლობაში ჯამურად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განცხადების შემოტანის ვადა პროგრამის ვადის დასრულებამდე 6 თვეზე ნაკლებია. აგრეთვე წლის ბოლოს, ერთჯერადად ჩაერიცხებათ თანხა - 300 ლარის ოდენობით. დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება, ბავშვები რომელთაც გარდაცვლილი ჰყავს ერთერთი მშობელი, ხოლო მეორე მშობელს შეზღუდული აქვს მშობლის უფლება - მოვალეობა ან /და იმ ბავშვების დახმარება რომელთა ორივე მშობლებს შეზღუდული აქვს მშობლის უფლება - თითოეულ ბავშვზე (18 წლამდე) - 100 (ასი) ლარი, ყოველთვიურად განცხადების შემოტანიდან მთელი წლის განმავლობაში. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირების ერთჯერადი ფულადი დახმარება - 1000 ლარის ოდენობით; რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების ხელშეწყობა; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისა და მათი ოჯახების სრულფასოვანი განვითარებისა და კეთილდღეობის მიზნით, პრევენციული ღონისძიებების გატარება. საყოფაცხოვრებო ნივთებისა (საწერი მაგიდა, სკამი, საწოლი და ტანსაცმლის კომოდი) და საყოფაცხოვრებო ტექნიკით (მაცივარი, სარეცხის მანქანა, გაზქურა.) უზრუნველყოფა.<br><br>პროგრამით შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად 600 ოჯახის ფინანსური დახმარება.<br><br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br><br>მრავალშვილიანი, ახალშობილების, ობოლი და მარჩენალდაკარგული, უდედმამო ბავშვთა და მარტოხელა ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა, საყოფაცხოვრებო ნივთებით და საყოფაცხოვრებო ტექნიკით უზრუნველყოფა. | | |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | მრავალშვილიანი, ახალშობილი, ობოლი და მარჩენალდაკარგული და მარტოხელა ოჯახების გაუმჯობესებული მატერიალური მდგომარეობა. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | სამედიცინო კვლევების, სტაციონალური მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა. | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 06 02 03 | | | 710.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარების, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა და სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიციმო დაწესებულებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე პაციენტს- 200 ლარამდე ასანაზღაურებელი თანხა დაუფინანსდება 100%-ით, 200 ლარს ზევით 1400 ლარამდე პაციენტის ასანაზღაურებელი თანხის შემთხვევაში---თანხის 50%, 1400 ლარს ზევით ასანაზღაურებელი თანხის შემთხვევაში--თანხის არაუმეტეს 700 ლარისა. წლის განმავლობაში ლიმიტირებული თანხა განისაზღვროს 700 ლარის ოდენობით, ლიმიტირებული თანხის შევსებამდე. იქთიოზი/ კანის ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტები, რომლისთვისაც საჭიროა კანის დამატენიანებელი ჰიგიენური საშუალებების შეძენა, დაფინანსდებიან წელიწადში ორჯერ -750-750 ლარის ოდენობით. გაფანტული სკლეროზის (G35) დიაგნოზის მქონე პაციენტები დაფინანსდებიან წელიწადში ორჯერ -500-500 ლარის ოდენობით. კოლოსტომის არსებობის შემთხვევაში, პაციენტები სამედიცინო ჩანთის შესაძენად დაფინანსდებიან ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით, (წელიწადში ორჯერ 600-600 ლარის ოდენობით). მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პაციენტები ჰიგიენური საშუალებების (საფენების) შესაძენად დაფინანსდებიან ყოველთვიურად 100(ასი) ლარის ოდენობით, (წელიწადში ორჯერ 600-600 ლარის ოდენობით). დიაბეტით დაავადებულ 18 წლამდე ბავშვებისათვის სისხლში გლუკოზის საანალიზო ტესტჩხირების და ლანცეტის ნემსების შესაძენად დაფინანსდებიან ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავდროულად ფაქტობრივად მაცხოვრებელი ონკოლოგიური (ავთვისებიანი სიმსივნით) დაავადების მქონე პაციენტების მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების თანადაფინანსება განისაზღვრება წლიური ლიმიტი 1000 (ერთიათასი) ლარის ოდენობით, თანხა ჩაირიცხება შესაბამის სამედიცინო/სააფთიაქო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე. აგრეთვე ონკოლოგიური (ავთვისებიანი სიმსივნით) დაავადების მქონე პაციენტებისთვის საჭირო სასწრაფო სამედიცინო დახმარების, მკურნალობის და კვლევის თანადაფინანსება განისაზღვრება, წლიური ლიმიტი 1000 (ერთიათასი) ლარის ოდენობით.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია:<br><br>ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება | |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | | გამოჯანმრთელებული ბენეფიციარები. | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსების პროგრამა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 06 02 04 | | | 95.6 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | | უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა (ლაგოდეხის წითელი ჯვარის ფილიალის თანადაფინანსება) ჩართულია 78 ბენეფიციარი.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია:<br><br>უმწეო ხანდაზმულთა ხელშეწობა | |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | | უმწეო ხანდაზმულთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 06 02 06 | | | 160.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული ხანდაზმულების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში. ქვეპროგრამით შესაძლებელი იქნება 140 ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფა.<br><br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br><br>უკიდურესად შეჭირვებულიხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვებით უზრუნველყოფა. |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი იქნებიან კვებითი მომსახურებით |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) დახმარების პროგრამა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 06 02 07 | | | 19.2 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | იძულებით გადაადგილებულ (დევნილთა) ოჯახებზე ფულადი დახმარების სახით არა უმეტეს 300 ლარისა. (აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით - 150 ლარი და თბობის სეზონზე - 150 ლარი). ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სულ რეგისტრირებულია ასეთი 64 ოჯახი .<br><br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br><br>დევნილთა ოჯახების ფინანსური შესაძლებლობების გაზრდა ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფისათვის. | | |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | დევნილთა ოჯახების ფინანსური შესაძლებლობების გაზრდა | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 06 02 08 | | | 6.1 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. კერძოდ: სადღესასწაულო ღონისძიებების შემთხვევაში ერთჯერადად არა უმეტეს - 300 ლარი (აღდგომის დღესასწაულზე). ერთჯერადი ფულადი დახმარება (8 მარტს ვეტერან ქალბატონებს,) ერთჯერადი ფულადი დახმარება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველ ვეტერანთა ოჯახები). 8 აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს გარდაცვლილი მეომრის ოჯახის დახმარება ერთჯერადად - 500 ლარით. გაუმჯობესება. პროგრამით შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად 25 ოჯახის დახმარება.<br><br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br><br>ვეტერანებისა და მათი ოჯახების თანადგომა. მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. | | |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | ვეტერანებისა და მათი ოჯახების ხელშეწყობა. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 06 02 09 | | | 60.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | | | |

| | |
|---|---|
| სამსახური | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | უსახლკაროდ დარჩენილი, გაუსაძლის პირობებში მცხოვრები, კრიზისულ ან მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის, სტიქიის (მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი) შედეგად დაზარალებული ოჯახების, ძალადობის მსხვერპლთა უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, დროებით საცხოვრებელით უზრუნველყოფა.<br><br>პროგრამით შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად 45 ოჯახის ფინანსური დახმარება.<br><br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br><br>ქვეპროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი იქნებიან თავშესაფრით. |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | **უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის თბობის სეზონთან დაკავშირებით ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება.** | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 06 02 10 | | | 60.0 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთაც განსაზღვრული აქვთ ყველაზე დაბალი სარეიტინგო ქულა 0-დან 65 000-მდე დათბობის სეზონთან დაკავშირებით საჭიროებენ ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსებას, ჩაერიცხებათ ერთჯერადად 150 ლარი აბონენტის სარეგისტრაციო ნომერზე. პროგრამით შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად 400 ოჯახის დახმარება.<br><br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br><br>სოციალურად დაუცველი ოჯახების თანადგომა, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | თბობის სეზონზე სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ელექტრო ენერგიის ან/და ბუნებრივი აირის ხარჯის თანადაფინანსება. |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | **ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა** | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 06 02 11 | | | 2.7 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური |
